„ამ ადამიანების ღირსეული ცხოვრების პირობები უნდა იქნას გადაჭრილი მათი ინტერესების სასარგებლოდ“

ალიონი. 8 სექტემბერს, ქ. ოზურგეთში იმყოფებოდა საქართველოს სახალხო დამცველი **ლევან იოსელიანი,** რომელმაც ქ. ოზურგეთში და სოფელ მერიაში მდებარე სოციალურად დაუცველთა საერთო საცხოვრისები მოინახულა. სახალხო დამცველი გაეცნო ორთავე სოციალურ საცხოვრისში არსებულ ვითარებას, ესაუბრა მობინადრეებს.

ქრისტინა სიხარულიძე, 23 წლის: —*მარტოხელა დედა ვარ, ოვაცური*

▶▶▶ გვ–4

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 20 (10456) 15 სექტემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

პატრიარქი – ის, რაც ამ დღეებში გურიაში მოხდა, ფაქტობრივად შოვის ტრაგედიის გაგრძელებად იქცა – აღვავლენთ ლოცვებს მათ უკვდავ სულთათვის

ის, რაც ამ დღეებში გურიაში მოხდა, ფაქტობრივად, შოვის ტრაგედიის გაგრძელებად იქცა – აღვავლენთ ლოცვებს მათ უკვდავ სულთათვის, – ამის შესახებ ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II--ის სამძიმრის წერილში.

„სტიქიურმა უბედურებებმა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც მოიცვა. უხვმა ნალექმა დიდი ზარალი მიაყენა კახეთს, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში გურიაში მოხდა, ფაქტობრივად შოვის ტრაგედიის გაგრძელებად იქცა.

დიდად ვწუხვართ ყმაწვილების, თორნიკე ჩხარტიშვილისა და იური (გიორგი) გუჯაბიძის, ასევე ქალბატონ თინათინ რუსაძის გარდაცვალების გამო, რომელნიც ჩამოწოლილმა მეწყერმა შეიწირა.

აღვავლენთ ლოცვებს მათ უკვდავ სულთათვის, რათა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ იგინი სავანესა მართალთასა განაწესოს, ხოლო მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოანიჭოს შინაგანი ძალა ამ ტკივილის დასაძლევად და რწმენაში გასაძლიერებლად.

ღმერთმა დალოცოს და მშვიდობით აკურთხოს გურია, მისი მკვიდრნი და სრულიად საქართველო“, – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

სტიქია გურიაში

ალიონი. 8 სექტემბერს, ღამით უხვი ნალექის შედეგად გურიის რეგიონში ადიდდა მდინარეების კალაპოტები, ჩამოწვა მეწყერი და დაზიანდა როგორც ცენტრალური, ისე სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა რამდენიმე სოფელი, მეწყერში მოყვა საცხოვრებელი სახლები, არის მსხვერპლი. სტიქია ძირითადად მდინარე სუფსის აუზში მდებარე ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მძინვარებდა.

სტიქიის ზონაში მობილიზებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200-მდე მეხანძრე-მაშველი, შესაბამისი ტექნიკა.

სტიქიის ადგილზე ჩავიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი – თემურ მღებრიშვილი და სამსახურის სხვა ხელმძღვანელი პირები.

საგანგებო რეჟიმზე გადავიდა ყველა შესაბამისი სამსახური, მოქალაქეების დასახმარებლად ამოქმედებულია ცხელი ხაზი. სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, ქ. თბილისის მერი კახი კალაძე, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, პარლამენტარის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, მხარის რწმუნებული გიორგი ურუშაძე, მაჟორიტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე, და ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები.

მოქალაქეების დასახმარებლად ამოქმედებულია ცხელი ხაზი.

მაშველებმა მოკლე დროში ათეულობით მოქალაქე, მათ შორის ბავშვები გადაარჩინეს და უსაფრთხო ადგილებზე გადაიყვანეს.

ძებნის ღონისძიების ფარგლებში ორი არასრულწლოვნის და ერთი ხანდაზმული ქალბატონის ცხედარი იპოვეს.

– დიდი ზიანი მიაყენა სოფელ სილაურს სტიქიამ. დაზიანებულია გზები. მამათის ღელემ და რობამ, რომლებიც ძლიერი წვიმებისას წყალმოვარდნებით გამოიურჩევიან, წაიღეს სოფლის ცენტრთან და უბნებთან დამაკავშირებელი ხიდები. ორი უბანი მოწყვეტილია სოფელს. დაზიანებულია საყანე ფართობები.

საშინელი ტრაგედია დატრიალდა ძეგორას უბანში. მოწყდა მთა, რომლისგან წამოსულმა მეწყერმა დაანგრია 82 წლის თინიკო რუსიძის საცხოვრებელი სახლი.

მაშველები დილიდან ეძებდნენ მეწყერში მოხვედრილ ქალბატონს. სამწუხაროდ, იგი გარდაცვლილი იპოვეს. სოფელში ასაკოვანი ადამიანები ამბობენ, რომ სოფლის ამ უბანში მეწყერი არ ახსოვთ. —გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ სილაურში **გიზო გოგუაძემ.**

სოფელ ძირ ჯუმათში ძლიერი წვიმის შედეგად ზვავი ჩამოწყვა და ემზარ ჩხარტიშვილის სახლი დააზიანა. დაიღუპა ჯუმათის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თორნიკე ჩხარტიშვილი.

▶▶▶ გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებიან

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სტიქიით შედეგ-ად დაზარალებულ მოქალაქეებს ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებიან

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან **ვასილ ჩიგოგიძესთან** და ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად სოფელ მერიაში მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდა, ადგილზე გაეცნო სტიქიის შედეგებს და მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარება გადასცა.

დღეის მონაცემებით ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 600 ოჯახს გაეწია დახმარება. ელექტრო ენერგია არ მიეწოდება სოფელ კოკათის და წიაღობნის 40 ოჯახს, ბუნებრივი აირი არ მიეწოდება 731 აბონენტს. სტიქიის ზონაში მობილიზებულია „ენერგო პრო ჯორჯიას“ და „სოკარ გაზ“-ის ჯგუფები, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. ლანჩხუთის და ოზურგეთის სოფლებში იქ, სადაც მეწყრული პროცესები განვითარდა, მუშაობს მძიმე ტექნიკა ცოცხალ ძალასთან ერთად. ბოლო მონაცემებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 4 ლოკაციაზე წერტილოვნად არის ავტომანქანით გადაადგილების შეზღუდვა.

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში აქტიურად გრძელდება ჰუმანიტარული დახმარების დარიგება

აქტიურად გრძელდება ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში პარტია „ქართული ოცნების“, მუნიციპალიტეტებისა და კერძო პირების ინიციატივით შეგროვებული ჰუმანიტარული დახმარების დარიგება.

სტიქიით დაზარალებულებს საკვებ პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების ნივთებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აწვდიან. ხუთი დღის განმავლობაში დახმარება 860-მა ოჯახმა მიიღო.

აღნიშნულ აქციას აბაშის, სენაკის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები შეუერთდნენ. შეგახსენებთ, სტიქიის პირველივე დღიდან სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში და შესაბამის მუნიციპალიტეტებში ამოქმედებულია ცხელი ხაზი. ცხელი ხაზის ნომრებია:

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია: 551 38 38 05;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 577 60 1 304

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: 599 05 87 00

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სტიქიით დაზარალები მოქალაქეები მოინახულეს

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სტიქიით დაზარალებული მოქალაქეები მოინახულეს, რომლებიც დროებით რამდენიმე სასტუმროში არიან განსახლებული. ისინი მათ საჭიროებებს გაეცნენ და დახმარება აღუთქვეს.

დღეის მდგომარეობით, სულ სასტუმროში განსახლდა 147 ადამიანი, ხოლო დაზიანებული სახლებიდან უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 101 ოჯახი.

სასტუმროს ხარჯებს სრულად შესაბამისი მუნიციპალიტეტი დაფარავს.

სოფელ ხორეთში ხიდი მალე აღდგება



8 სექტემბრის სტიქიამ პრობლემები შეუქმნა სოფელ ხორეთსაც. დაზიანებულია სოფლის ცენტრთან დამაკავშირებელი ხიდი. ამ დროისთვის, აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება. სოფელში ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** ჩავიდა. მისი თქმით, ადგილზე ამ დრომდე მუშაობენ გეოლოგები და ყველა ის ოჯახი, ვისაც სტიქიამ პრობლემები შეუქმნა, გაყვანილია უსაფრთხო ადგილას.

სტიქიის პირველივე დღიდან მოქალაქეებს მიაწოდეს როგორც პროდუქტები, ასევე პირველადი მოხმარების ნივთები.

ბოლო ინფორმ-აციით სოფელ ხორეთში სტიქიისაგან დაზიანებული ხიდის აღდგენის სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება.

გურიის პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავა, მათ შორის ერთი ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატ-იული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავეს.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე 1969 წელს დაბადებული ეგ., ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, წარსულში ნასამართლევი 1971 წელს დაბადებული **ჯგ.** დააკავეს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწ-ინებს.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ნარკოდანაშაულის გამოსავლენად, რამდენიმე ეტაპად, 40 დღის განმავლობაში განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ეგ., ქობულეთში არსებულ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მუშაობდა, სადაც ის სამსახურებრივ მდგომარეობას დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდა და ნარკოტიკულ საშუალებას უკანონოდ ასაღებდა. კერძოდ, ის რეალიზაციის მიზნით, „ფსიქიკური ჯანმრთე-ლობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან“ მართლსაწინააღმდეგოდ ეტაპობრივად ეუფლებოდა 860 ბენეფიციარისთვის განკუთვნილ ნარკოტიკს, რომელსაც ჯ.ბ.-ზე უკანონოდ ასაღებდა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი და სამუშაო ადგილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს 22 ცალი 10 მილიგრამიანი შპრიცი, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ იყო მოთავსებული. ეგ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია 2,5 ლიტრი „მეტადონის“ ხსნარი, რომელიც სამ პლასტმასის ბოთლში იყო გადანაწილებული.

პოლიციამ, ჩხრეკის ღონისძიების ჩატარების შემდეგ, „შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ დალუქა.

დაკავებული ექთანი ოზურგეთში მცხოვრები **ელენა ბონევაა.** ელენა ბონევას ოჯახში ამბობენ, რომ მათთვის ეს ყველაფერი დიდი მოულოდნელობაა. ბონევას საქმიანობასთან დაკავშირებით არაფერი იციან და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან. ელენა ბონევას ადვოკატის მერაბ ფუტკარაიას განცხადებით, დაკავებული ბრალს აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკის გასაღებისა და ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვის ფა-ქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

სტიქია გურიაში

—სტიქიამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სოფელს ძირ ჯუმათში ღამით ჩამოწვა მიწის მასა და ემზარ ჩხარტიშვილის სახლს მიადგა. სახლთან ახლოს ჩამოდის ღელე დირსმელა, რომელიც ძლიერ იყო ადიდებული და ზვავმა და მდინარემ ერთი ბავშვი გაიტაცა, რომლის შველა ვერ შეძლეს. მაშველებმა 11 წლის მოზარდის ცხედარი შემთ-ხვევის ადგილიდან 4 კილომეტრის ქვემოთ იპოვეს. — გვითხრა ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა სოფელ ჯუმათში **მიხეილ ებრალიძემ.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯირში (ჩოჩხათის თემი) 12 წლის იური გუჯაბიძემ მათთან სტუმრად მყოფ დის მეგობრებს დაუთმო საკუთარი საძინებელი და ეზოში მდგარ სამზადში გადავიდა თვითონ, დასაძინებლად. მეწყერმაც ის სამზადი ჩაიტანა...

ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, საერთაშორისო მნიშვნელობის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-40 და 56-ე კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია. მიმდინარეობს შიდა გზების აღდგენითი სამუშაოები. უკვე აღდგა აცანა-მამათი-ძიმითია გზა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დახმარება გაეწია დაახლოებით 150-მდე ოჯახს. 200 ადამიანი გაყვანილია უსაფრთხო ადგილას.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ განაცხადა, გეოლოგების მიერ ხორციელდება ყველა იმ სოფლების შესწავლა, სადაც მეწყრული პროცესები იყო. ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები, რწმუნებულები დადიან და აფასებენ ზარალს, თუ რა მასშტაბის არის იგი.

მცხოვრებლებს არ ემუქრებოდათ არაფერი, მაგრამ ასეთ ლოკაციებზეც შევდივართ, რათა აღვადგინოთ შიდა გზებიც. „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ჯგუფები აქტიურად მუშაობენ. ასევე, მუშაობს გაზის კომპანია, რათა აღდგეს გაზის ინფრასტრუქტურა, სადაც კი შესაძლებელია. ინტენსიურად ხდება სურსათის დარიგება, მედიკამენტების მიწოდება, ვისაც კი ესაჭიროება. ჩვენ სასტუმროში გადაყვანილი გვყავს 30-მდე ადამიანი, მათ, ვისაც ალტერნატიული ფართი არ ჰქონდა ან არ შეეძლო ნათესავთან გაჩერება. გარდა ამისა, ათეულობით ოჯახი ახლობლებთან გადავიდა. ყველა ოჯახთან პირდაპირ კომუნიკაციაზე ვართ გასული, ვმუშაობთ იმისათვის, რომ საფრთხის შემცველ ზონებში მოქალაქეები არ დარჩნენ“, — განუცხადა ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

კომპანია „აი ენდ ეფ სოლუშენს“ სოფელ კონჭკათში ოქროს მოპოვებას იწყებს

ალიონი. *როგორც ცნობილი გახდა, ოქროსმომპოვებლები სოფელ ზოტის შემდეგ სოფელ კონჭკათს მიადგნენ. წიაღის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 29 მარტის № 429 ლიცენზია-ბრძანებით კომპანია „**აი ენდ ეფ სულუშენს**“ ოზურგეთის მუნიციპალიტ-ეტის სოფელ კონჭკათის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 677 კგ. ოქრო უნდა მოიპოვოს (?!) წინაწარ კვლევებზე მათ ნებართვა 2020 წელს აქვთ მიღებული.*

ამის შესახებ ინფორმაცია გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკო“ გავრცელა.

„რა ემუქრება ისედაც სტიქიით დაზარალებულ სოფელ კონჭკათს?

ერთ-ერთი ურთულესად დამეწყრილი სოფელი კონჭკათია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. მეწყერსაშიშ ადგილებიდან მოსახლეობა გამოჰყავთ.

ამ დროს მინერალური რესურსების სააგენტოს გაცემული აქვს ამ სოფელში ოქროს მოპოვების ლიცენზია 2040 წლის აპრილამდე. ხოლო გაცემის თარიღია 2023 წლის მარტი.

ხომ წარმოგიდგენიათ რა მოყვება ოქროს სამადოებს ამ სოფელში? ან გურიას? წარმოუდგენელი რამ, როცა ჩვენს ქვეყანაში გარემოსდაცვითი კანონები უგულველყოფილია.

აი რატომ არ გვაწვდის საჯარო ინფორმაციას მინერალური რესურსების სააგენტო,“ — წერს „ეკოს“ დამფუძნებელი **ირმა გორდელაძე** სოციალურ ქსელში.

გაზეთი „ალიონი“ სოფელ კონჭკათის მაჟორიტარ დეპუტატს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გელა არაშიძეს** ესაუბრა:

— *ძლიერმა წვიმებმა მეწყერი წარმოქმნა არაერთ უბანშიდამეწყრილია გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრისად უვარგისია არაერთი საცხოვრებელი სახლი. მუშაობს სამაშველო სამსახური, გეოლოგები.*

რაც შეეხება სამადოს, უკვე სამი წელია აღნიშნული კომპანია აწარმოებს წინასწარ სამუშაოებს სოფლის განაპირას, მდინარე სუფსასთან ახლოს, არაშიძეების უბანში.

დასაქმებული ჰყავთ ადგილობრივი მოსახლეობა. ჩვენი უპირველესი მოთხოვნა იყო, რომ აფეთქებების საშუალებით არ მომხდარიყო მადნის ძიების სამუშაოები და არ ემოძრავა მძიმე ტექნიკას გზებზე.

მათ ჩვენი მოთხოვნები გაითვალისწინეს და მიმდინარეობს სამეთო სამუშაოები —გვითხრა გელა არაშიძემ.

გარემოს ეროვნული სააგენტო - გურიის მხარეში საფრთხის დონე სტიქიის პირველ დღესთან შედარებით შემცირებულია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გურიაში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში, 9 სექტემბრის მდგომარეობით, შეფასდა 18 ინფრასტრუქტურული ობიექტი, 19 დასახლება და 80 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი.

ასევე, 35 ოჯახზე გაიცა რეკომენდაცია გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანის შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, სპეციალისტების მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე გურიის მხარეში საფრთხის დონე სტიქიის პირველ დღესთან შედარებით შემცირებულია.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების ჯგუფები მოქალაქეების საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების მეწყრული პროცესებისაგან დაზიანების ხარისხის შესაფასებლად სტიქიის ზონაში რჩებიან და რეგიონში განვითარებული მოვლენების შესწავლას აგრძელებენ. სპეციალისტების მიერ ადგილზევე გაიცემა რეკომენდაციები შემდგომი ქმედებებისათვის.

ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში, 9 სექტემბრის მდგომარეობით, შეფასდა 18 ინფრასტრუქტურული ობიექტი, 19 დასახლება და 80 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი. ასევე, 35 ოჯახზე გაიცა რეკომენდაცია გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანის შესახებ.

როგორც ცნობილია, 8 სექტემბერს, ღამის საათებში, გურიის მხარესა და აჭარაში მოსულმა უხვმა ნალექმა მდინარეებზე წყლის დონეების მნიშვნელოვანი მატება, პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო მთიან ზონებში მეწყრული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი გურია, ბუნებრივი საფრთხეებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ბოლო 10-15 წლის მანძილზე ერთ-ერთ რთულ მხარეს წარმოადგენს.

ამ ეტაპზე სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე გურიის მხარეში საფრთხის დონე სტიქიის პირველ დღესთან შედარებით შემცირებულია.

ასევე, დღეს დილიდან გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ვერტმფრენით შემოვლა განახორციელეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მდინარე მაგანას წყალშემკრები აუზის ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებული ინფორმაციით მდინარის შეგუბები აღინიშნებოდა. დათვალიერების შედეგად მდ. მაგანას ხეობასა და მის შენაკადებზე შეგუბებები, ან რაიმე ტიპის მეწყრულ გრავიტაციული პროცესების კვალი არ დაფიქსირებულა“, — აღნიშნულია განცხა-ცხადებაში.

სოფელ ნაგომარში ოზურგეთისა და ჩოხატაურის დამაკავშირებელი გზა ჩავარდა

ალიონი. 11 სექტემბრს, გურიაში, სოფელ ნაგომარში ოზურგეთისა და ჩოხატაურის დამაკავშირებელი გზა ჩავარდა

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განცხადებას ავრცელებს:

— შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 32-ე კმ-ზე, დროებითი ხიდის მოსაწყობად სამუშაოები დაიწყო. ამ ეტაპზე, დროებითი ხიდის კონსტრუქციისა და სპეციალური ტექნიკის მობილიზება მიმდინარეობს. პარალელურ რეჟიმში, სპროექტო ჯგუფი მუშაობს დაზიანებულ მონაკვეთზე და მათი დასკვნის შემდგომ დაიწყება ხიდის აღდგენის სამუშაოები. ადგილზე მობილიზებულია მძიმე ტექნიკაც.

11 სექტემბერს, საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 32-ე კმ-ზე, არსებული ხიდი და გზის სავალი ნაწილი დაზიანდა და ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. დროებითი ხიდის მოწყობის პერიოდში, მსუბუქი ავტოტრანსპორტი იმოძრავებს ადგილობრივი გზის გამოყენებით (ბუკნარი-ნაგომარის შემოვლითი გზა), ხოლო მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და სატვირთო ავტომობილების მოძრაობა შესაძლებელია საერთაშორისო მნიშვნელობის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლ-ეთის საავტომობილო გზის გამოყენებით.

— „ჩოხატაური ოზურგეთის დამაკავშირებელი ცენტრალური გზა ჩავარდა, შეხვედრა გვქონდა გზების დეპარტამენტის წარმომადგენლობასთან, უკვე დაწყებულია დროებითი ხიდის სამუშაოები და 2 დღეში დასრულდება. ცენტრალური გზის აღდგენამდე ვისარგებლებთ დროებითი ხიდით, ხოლო 2 დღის განმავ-ლობაში სანამ დროებითი ხიდი მოეწყობა, შეგვიძლია ვისარგებლოთ ბუკნარი-ნაგომარის შემოვლითი გზით. ბოდიშს ვიხდით შეფერხებისთვის!!!

—აცხადებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე.**

„ამ ადამიანების ღირსეული ცხოვრების პირობები უნდა იქნას გადაჭრილი მათი ინტერესების სასარგებლოდ“

ძალადობის მსხვერპლი, მყავს 5 წლის გოგონა ვლებულობ სოციალურ დახმარებას 320 ლარს. ადრე სეზონურად თხილის საკრეფად დავდიოდი. წელს 3 დღე ვიმუშავე მხოლოდ. ყანის აღებაზეც ვმუშაობდი, მაგრამ წელს მდინარეებმაც დიდი ზიანი მიაყენეს სიმინდის მოსავალს. ვნახოთ, მანდარინობაზე თუ გამოგვიჩნდა დროებითი სამუშაო, რომ ზამთრისთვის მოვემზადოთ

ბავშვი სოფელ მერიის ბაღში დამყავს. იქ ნორმალური პირობებია: კვება, მოვლა, აღზრდა...

მარინა ხუციძე, 54 წლის: — *მეუღლე პოლიციაში მუშაობდა, ახლა ორთავე სოციალურ დახმარებაზე (სულ 120 ლარი) ვართ დამოკიდებულები. ცოტა ხანს ურეკში ვიმუშავე. ახლა პურის ფულიც კი არ მაქვს. იმის გამო, რომ ვერშეძელი ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, დენის მოწოდება გამითიშეს. 3 თვეა შუქი არ მაქვსცოდვას ვერ ვიტვი, კი გვეხმარება პერიოდულად საკრებულოს დეპუტატი, მერის წარმომადგენელი, მაგრამ ჩემს უამრავ პრობლემას ვინ გაწვდება;*

რუსუდან ძირკვაძე: — *არ გვაქვს კანალიზაცია, ბუნებრივი აირი. შენობის სარდაფში წყალი დგას. შარშან, არჩევნებზე ბევრ რაიმეს დაგვპირდნენ, მაგრამ გამარკვევების შემდეგ დაავიწყდათ. შვილი ონკოლოგიური ავადმყოფია, 320 ლარ დახმარებას ვიღებთ. მერაბ ჭანუყვაძის მერობის დროს მოგცეს აქ საცხოვრისი და ახლა წყალი შემოდის კედლებში..არც სკვერი გვაქვს და ბავშვებმა რომ ითამაშონ, არც სპორტული მოედანი;*

სალომე პიატკოვსკი: — მრავალშვილიანი ოჯახიდან ვარ 4 წელია აქ ვცხოვრობ, პატარა ბავშვთან ერთად ვარ. წყალი შემომდის ბინაში. ვთხოვე ხელისუფლებას, ნაწილი ბინების გამოკეტილია (14 ოჯახს შეუძინეს სახლები და გაიყვანეს),არ მიშვებენ სხვა ბინაში;

სახალხო დამცველმა **ლელა ხიმშიაშვილის** ბინაც მოინახულა. იგი სამი შვილის დედაა. უფროსმა სკოლა დაამთავრა, უმცროსი პირველ კლასშია. იგი საბინაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვს.

—წვიმის დროს ყველგან წყალი შემოდის. როცა ამის შესახებ ხმამაღლა ვთქვი, — შენ ახლა კომფორტს ითხოვო —მითხრეს.

ასევე ბევრი პრობლემის შესახებ ესაუბრნენ სახალხო დამცველს ქ. ოზურგეთში, სოციალურ საცხოვრისის მობინადრეებიც.

— შენობის საწვიმარი მილი გასაკეთებელია, შენობაში წვიმის დროს წყალი რომ არ ჩამოვიდეს. კიბის ქვეშ ელექტროკარადა დგას და გაწვიმებისას წყალი უდგება. უბედური შემთხვევა შეიძლება მოხდეს — მიმართა სახალხო დამცველს **მირზა გოგუაძემ.**

სახალხო დამცველმა პირველ სართულზე ერთ-ერთ ბინაში სამი პატარა ბავშვი მოინახულა, სადაც ძლიერი ნესტი იგრძნობა.

—ბევრი ბინაა გამოკეტილი, ვითხოვე ბავშვები ამყვავნინეთ ზედა სართულზე, რომ ამ სინესტეში არ დაავადნენ — მეთქი, მაგრამ უშედეგოდ — გვითხრა **ლანა კვირიკაშვილმა.**

სახალხო დამცველმა სოციალური საცხოვრისის მესამე სართულზე, იქ მაცხოვრებელი **ნადია ბალტას** თხოვნით. მათი ბინა დათვალიერა.

—7 სული ვცხოვრობთ ამ ორ პატარა ოთახში, აქედან 2 მცირეწლოვანი ბავშვი...

სოციალურ საცხოვრისში განაცხადეს, რომ მხოლოდ პირველ სართულზეა სახელდახელო პანდუსი, შენობა არაა ადაპტირებული შშმ პირებისთვის

მობინადრეებთან შეხვედრის შემდეგ **ლევან იოსელიანმა** *გაზეთ „ალიონთან“ გააკეთა კომენტარი:*

— ჩემთვის, როგორც სახალხო დამცველისთვის, პრიორიტეტულია საკითხები, რომელიც უკავშირდება ადამიანის სოციალურ მდგომარეობას. ამ მიზნით, მე პირადად დავდივარ და ვაკონტროლებ სოციალურ საცხოვრისებს საქართველოში.

დღეს ჩამოვედი ქ. ოზურგეთში და სოფელ მერიაში და შევხდი იქ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთა მდგომარეობა აბსოლუტურად შეუსაბამოა როგორც უსაფრთხოების სტანდარტების, ისე ელემენტარული ცხოვრების პირობებისთვის.

შენობები არაა შესაბამისობაში სტანდარტებთან, რომლებშიც ადამიანებს შეეძლება იცხოვრონ სრულფასოვნად, ორთავე საცხოვრისში ძირითად პრობლემას წარმოადგენს გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, წვიმის შედეგად იტბორება სარდაფები, დაზიანებული ფასადების გამო ინსტება საცხოვრებელი ოთახები, სადაც ასთმით დაავადებული მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ.

სოციალურ საცხოვრისში შეზღუდული შესაძლებლობის პირებიც ცხოვრობენ, თუმცა შენობის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი არაა ადაპტირებული მათთვის.

მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამას, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ყველა აქ წამოჭრილი საკითხის ადგილობრივ დონეზე გადაჭრა შესაძლოა არ იყოს მარტივი, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ საქართველოში სულ რამდენიმე, 5-6 სოციალურ საცხოვრისს მიხედოს იმგვარად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ ადამიანების ღირსეული ცხოვრების პირობები იქნას გადაჭრილი მათი ინტერესების სასარგებლოდ.

ბუნებრივია, ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ადამიანების ცხოვრების ხარისხიან პირობებთან და უსაფრთხოების საკითხებთანაა დაკავშირებული, გვექნება შესაბამისი შეფასებები, რეკომენდაციები, რომლებსაც ჩვენს ყოველწლიურ ანგარიშში წარვუდგენთ პარლამენტს, და იმედი მაქვს, ამ საკითხებზე ხელისუფლებას ექნება ეფექტური რეაგირება, რადგან აქ არაა სუბარი რამდენიმე ადამიანზე, არამედ რამდენიმე ასეულ ადამიანზე, რომელთა შორის არიან ხანდაზმულები, შშმ პირები, ძალიან ბევრი ბავშვი, რომლებსაც სჭირდებათ განვითარებისთვის შესაბამისი გარემო — განაცხადა **ლევან იოსელიანმა.**

გზები და ხიდები აჭარაში



ქ. ბათუმის გეგმა

1902 წლის 27 მაისს აჭარის გზათა სამინისტროს ინიციატივით საზღვაო და კომაროვის ქუჩების გზაჯვარედინზე მოეწყო გადასასვლელი პეტერბურგის ქუჩაზე. მაგრამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული გადასასვლელი გადაკვეთდა 2 სასადგურო გზას, რომელზეც მუდმივად წარმოებდა სამგზავრო მატარებლების ვაგონების მანევრები, რის გამოც აღნიშნული რკინიგზის გადასაკვეთი გზა გამოიწვევდა უსაფრთხოების დარღვევას, ასევე საფრთხე შეექმნებოდა საცხენო ტრანსპორტს და ფეხით მოსიარულეებს. საზღვაო ქუჩაზე მოძრაობა წარმოებდა რკინიგზის სადგურის შემოვლითი გზით. გადასასვლელი გზის 2 საჟენით გაფართოება ხელს შეუწყობდა აღნიშნული პრობლების გადაწყვეტას. ამავე დროს ბათუმში მზადდებოდა რკინიგზის რეკონსტრუქციის პროექტი. **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 388 ფურც. 5]**

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი №19“

აჭარაში დიდი ყურადღება ექცეოდა ხიდების მშენებლობას. 1888 წლის პირველ ნოემბერს ააგეს კარცოვის არხზე ხის ხიდი. ბათუმი-სოფელი ჭაობის არხებზე მოწყობილი ხიდები მთავარ გზასთან აერთებდა ზღვის სანაპირო ქუჩებს, რომელიც მიემართეოდა სასაფლაოზე და ნავთობის ქარხანასთან **[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 7 ფურც. 2]**

1888 წლის 10 დეკემბერს განხორციელდა კარცოვის არხსა და ბურგარდტის ქარხანას შორის დამაკავშირებელი ხიდის რეკონსტრუქცია.**[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 17 ფურც. 7]**

1888 წლის 28 ნოემბერს გადაწყდა სანაპიროზე, კარცოვის არხთან დამაკავშირებელი ბეტონის ხიდის კეთილმოწყობა. ბეტონის ხიდი ააგეს პორტლანდის ცემენტით და ტეილსკოვის კირით [ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 14 ფურც. 6]

შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, ბათუმი თუ ვითარდებოდა, მხოლოდ ნავთობის ექსპორტის ძალით და თუ ისინი ამას შეწყვეტდნენ, მაშინ დიდ მოგებასაც ვერ მიიღებდნენ, და ბათუმი დაუბრუნდებოდა თურქეთის სოფლის პირვანდელ მდგომარეობას.

საბჭოთა პერიოდში სოფლად გზების მშენებლობაზე დაწესებული იყო შრომითი ბეგარა. 1921 წლის 7 მაისს აჭარის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება ზემო აჭარის (ხულო, ღორჯომი, ჭვანა) გზებზე შრომითი ბეგარის დაწესების შესახებ, რომელიც გლეხებს ავალდებულებდა უფასოდ შრომას სასოფლო გზების მშენებლობაზე **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 264, ფურც. 109]**

1926 წლის 8 აგვისტოს აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ დაწესა საგზაო შრომითი ბეგარის ნორმები. შრომითი ბეგარა განისაზღვრა 6 თვით. შრომითი ბეგარიდან განთავისუფლებულნი იყვნენ: წითელი არმიელები, შრომის უნარდაკარგულები და ომის ინვალიდები. მოსახლეობა 18-50 წლამდე ვალდებული იყო გამოსულიყო სამუშაოდ გზების მშენებლობაზე საკუთარი ურმებით, შრომის იარაღებით. შრომითი ბეგარის მოხდა შეიძლებოდა ფულის შეტანით **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 460, ფურც. 69]**

1924 წლის 15 მაისს მოსკოვში ჩატარდა საგზაო კონფერენცია, რომელმაც დაიკანონა ავტონომიურ რესპუბლიკებში მოსახლეობის მონაწილეობა გზათა მშენებლობაში, მიღებული იქნა გზათა მშენებლობის პროგრამები და გეგმები, მოწესრიგდა საგზაო სტატისტიკის, გზათა მშენებლობის მექანიზაციის საკითხი, მიღებული იქნა გზათა მშენებლობაში მეტრული სისტემა **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 15]**

1924 წლის 17 იანვარს სახელმწიფო აღმშენებლობის მთავარი სამმართველოს ბრძანების საფუძველზე დაიწყო მაჭახლის, დიდაჭარის, ღორჯომის და ჭვანის გზების გაყვანა **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 9]**

1924 წლის 2 თებერვალს ქობულეთში, სოფელ კოხში გზის მშენებლობასთან დაკავშირებით ეზოს მიწა ჩამოეჭრა მემედ ჭყონიას და ჯიჯავაძეს. 1924 წლის 3 თებერვალს აჭარის აღმართის თემის სასოფლო ყრილობამ (თემის აღმასკომის თავმჯდომარე ქაზიმ თავდგირიძე) მხარი დაუჭირა მთავრობის დადგენილებას მაჭახლის და ჩიქუნეთის გზის გაყვანის შესახებ. შეიქმნა საგზაო კომისია, რომელშიც შევიდნენ სულეიმან კახიძე, ხასან ქოქოლაძე, საფირ სალვარიძე, იუსუფ აბესლამიძე, აბდი კირკიტაძე, უზეირ შაშიკაძე, ქაზიმ თავდგირიძე, რასიმ მალაყმაძე **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 15]**

1923 წლის 1 ივლისიდან 1924 წლის 1 იანვრამდე მთავარი ყურადღება მიექცა ვიწრო გზათა გაფართოებას, კლდეთა კედლების გამაგრებას. აჭარის გზათა რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 10000 მანეთი ოქროთი **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 11, ფურც. 136]**

1924 წლის 10 იანვარს აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იუწყებოდა, რომ რკინიგზის ტარიფების გაზრდის გამო ტრანსპორტის (არაბა) მოძრაობა ოზურგეთის. სენაკის და ქუთაისის მაზრებიდან მიმდინარეობდა ქობულეთ ბათუმის გზაზე, რომელზეც ყოველდღიურად გადიოდა 200 ბორბლიანი ტრანსპორტი, თითოეული 100 ფუთი ტვირთით, რაც გზებს აზიანებდა, ჩდებოდა ორმოები და ფერხდებოდა მოძრაობა. გზების კაპიტალური რემონტი დაეკალა ადგილობრივ მოსახლეობას. ანალოგიური მდგომარეობა იყო ბათუმი-ახალციხის გზაზე **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 4]**

1924 წლის 24 აპრილის აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ღორჯომის გზაზე მიწის საქმე დამთავდა, დარჩა ქვა გასატეხი და მოსაკენჭავი. ჭვანის გზის მშენებლობა ხიჭაურიდან ცხმორისამდე მოთავებულია. ჩაქვისთავის გზა ჯერ არ არის დამთავრებული, ჭახათის გზა ერთი ვერსი იქნება გასაკეთებელი, ლეღვის გზა 7 ვერსით მოთავდა და დარჩენილია 2 ვერსი. მერისის, უჩამბის და სხალთის თემში მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 59]**

1924 წელს 1200-მა ადგილობრივმა მცხოვრებმა მონაწილეობა მიიღეს სოფლების წონიარისის, ახოს, გეგელიძეების, ხარაულას, დანდალოს, კოკოტაურის, ცხმორისის, საღორეთის, აგარის, აქუცას, მეძიბნას, ორცვას, ორთახოხნას, კოროლეთის და ა.შ. გზათა მშენებლობაში **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 240, ფურც. 16]**

1924 წლის 14 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა ხუცუბნის ქვის ხიდი. ამავე წელს დაიწყო სოფელ ჩაოს გზის გაყვანა (ხულო). ჩიქუნეთის გზაზე 10 ვერსიდან 8 ვერსი კლდეს მიყვებოდა და 2 ადგილზე გვირაბის გაყვანა გახდა აუცილებელი. 1924 წლის 17 დეკემბერს გაიხსნა ჭვანის გზა .ამავე დროს დაიწყო მუხაესტატედან ალამბრამდე გზის გაყვანა. 1924 წელს სოფელ ყოროლისთავის მცხოვრებლები მოითხოვდენენ ბათუმიდან ორთაბათუმში

გვ-6

კიდევ ერთი გურული მალაქია ბოლქვაძე უნდა გავიხსენოთ

გავიხსენოთ და გახსენება ბიოგრაფიით დავიწყოთ.

დავიწყოთ და წინასწარვე შევნიშნოთ: ბატონი მალაქიას არც დაბადება/გარდაცვალების დრო ვიცი და არც დაბადების ადგილი.

გურული რომაა დაზუსტებით ისიც კი არ ვიცი... მაგრამ პირადად მე გურულად ვთვლიდა ვინც ამის წინააღმდეგია, შეუძლია გაზეთ „ალიონის“ გვერდი პროტესტის ნისნად მეექვსეზე გადაფურცლოს.

პირადად მე, მცირე ბიოგრაფის ეროვნული ბიბლიოთეკის „ბიოგრაფიული ლექსიკონიდან“ ვთავაზობ არც თუ ბევრად შემცირებულ მკითხველს.

ბოლქვაძე მალაქია – (XIX ს მე-2 ნახ.), ქართული პრესის მოღვაწე. განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. მონაწილეობდა ქუთაისის დასის მუშაობაში. მას ეკუთვნის პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები, აგრეთვე, ცნობები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობისა და გამოსვლების შესახებ. (წყარო: ქართველი პოეტები : ენციკლოპედია / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა.- თბ.,2021.- გვ.67)

სხვათაშორის, ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილის „ენციკლოპედიაში“ მალაქია ბოლქვაძის ლექსი „რა მემღერება“ არის გამოქვეყნებული. ლექსის იდეურ-მხატვრულ ღირსებაზე მე ვერაფერს გეტყვით, თუმცა, თავად ლექსი, აქვე რომ არ შემოგთავაზოთ ვერაფრით ვიზამ, ამიტომ... ინებეთ:

„რა მემღერება

რა მემღერება, როს ტანჯვის
ბუდე
სავსე კაეშნით გულზე მედება,
როს კიდობანში, მშფოთვარე
სულით
დამძიმებული ვაებით კვდება.
რა მემღერება, როს გარეშემო
უკუნი ბნელი შემომხვევია,
როს წმინდა წყალი, ჩემი საგემო,
მტერ-მეზობელსა დაულევია.“

ნება მიბოძეთ, წმინდა წყლის მტერ-მეზობლისგან დალევის მეტად საინტერესო თემა გვერდზე გადავდო და „ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ „ჩამოვსქროლო“540-ე გვერდზე, სადაც, შეგვიძლია მეტად საინტერესო ინფორმაცია ამოვიკითხოთ“

„1906 25 ივლისამდე

პეტერბურგში მყოფი დავით სარაჯიშვილი ილია ჭავჭავაძის თხოვნით სასტუმრო „ევროპაში“ მართავს სადილს, რომელსაც ესწრებიან სოციალ-დემოკრატი დეპუტატები: ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანია, ივანე გომართელი, ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ზურიბაშვილი, მალაქია ბოლქვაძე. ილია ჭავჭავაძე მათ სთხოვს, რომ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მხარი დაუჭირონ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ჰპირდებიან მხოლოდ იმას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებენ.“

თუ, როგორ იხსენებს ამ ამბავს თავად ბატონი მალაქია ქვემოთ გამცნობთ, მანამდე ილიასა და მალაქია ბოლქვაძის პირველ შეხვედრას გაგახსენებთ/გამცნობთ (ჟურნალი „განათლება“, 1908 , 3-4. არ დაგავიწყდეთ ჟურნალის რედაქტორი იოსებ ბოცვაძეა! ჩვენებური მეტად საინტერესო ბიოგრაფიის კაცი. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი ბატონი იოსების ოთხტომეულის გამოცემას როდის დაასრულებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ წელს, მაქსიმუმ გაისად ამ დროს პირველი ტომი მზად იქნება. ძალიან მაგარი კოლეგა მუშაობს ოთხტომეულის გამოცემაზე! ინტერესიც დიდი აქვს და პროფესიონალიზმი ხომ აქვს და თანაც როგორი!).

„მესამე დღე სათათბიროს კულუარებში გამოჩნდა ილია. იმის ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო შავი სერტუკი, ნაცრისფერი ზოლებიანი შარვალი, შავი ჟილეტი და გადმოკეცილი კრახმალიანი თეთრი საყელო. ეს გარეგანი ნიშნობლივობა ვიცოდი, ასე რომ ილიას სახეც რო არ დამენახე- შორე მანძილიდან ისედაც ვიცნობდი.

- მგონი ადრე მოველი? — მხიარულად დამეკითხა ილია. კრება ნახევარი საათის შემდეგ დაიწყება, — ვუპასუხე მე.

შენობა მინდა დავათვალიერო, თუ დრო გაქვთ დამატარეთ, გეთაყვა. დარბაზი და კულუარები მომწონს, მაგრამ ეს ხომ მთელი შენობა არ არის.

ილიამ ხელი გამომდო (ეს ჩვეულებად ჰქონდა) და შევუდექით სასახლის დათვალიერებას. არც ერთი კუთხე არ დაგვიტოვებია, ყველაფერი ვნახეთ. მთელი დრო სასახლის არხიტექტურაზე და მოწყობილობაზე მელაპარაკა... ილიასთან ყველაფერზე შეიძლებოდა ბაასი. აგრე გაეცნო საყვარელი მოხუცი სათათბიროს შენობის ყოველ კუთხეს.

— ეხლა, ყველაფერი შევისწავლე. რას იფიქრებდა პოტიომკინი თუ მის სასახლეში პარლამენტი მოთავსდებოდა! ცხოვრება მირბის, ცვალებადობს. ასეთი სიტყვებით დაასრულა ილიამ სასახლეში სეირნობა.

ჩვენი წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, იოსებ ბარათაშვილი, ჯაფარიძე, წერეთელი. ჩამოვიდნენ თუ არა იმ დღესვე სათათბიროს კრებას დაესწრნენ. ილიაც მოვიდა. განა შეეძლო მას ამ დღეს არ მოსვლა! მოსვლისთანავე დამეკითხა — ილაპარაკებენ თუ არა ჩვენებიო, მაგრამ ამის პასუხს თვით დეპუტატებიც ვერ იძლე-ოდნენ. დეპუტატებზე აქ გაკვრით ვამბობ, რადგან ამათზე სულ სხვა დროს და სხვა შრომაში მექნება ლაპარაკი. მე ჯერ ვიგონებ იმას, რაც ილიას ეხება“.

დროა, იმ ამბავს დავუბრუნდეთ ზემოთ რომ ვახსენე: საქართველოს ავტონომიისა და სოციალ-დემოკრატების თავშეკავებას რომ ეხებოდა.

„ჩამოვიდნენ ჩვენი დეპუტატებიც, რომელთა შორის მხოლოდ ბარათაშვილი იყო არა სოციალ-დემოკრატი. ჩვენ ქვეყნის წარმომადგენელთა ასეთმა ჯგუფმა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერთად ილია დაფიქრა. მიზეზი საყურადღებო იყო. სათათბიროში მოელოდენ ავტონომიაზე მსჯელობას. ქართველთა მინდობილობით ლედნიცკიმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჩვენი სოციალდემოკრატები წინააღმდეგნი იქნებიან და ხომ შევრცხვით. განცხადება მაინც არ იყოს კომისიაშიო,“ — აი რა ფიქრი ტრიალებდა ქართველთა შორის.

— „რამე უნდა ვიღონოთო“ — ამბობდენ ილია და სხვანი.

და რა უნდა ექნათ? ამ დროს და წინედაც ს.-დ. ჟურნალ-გაზეთებში ილიასთან საქმის დაჭერას, პურის მჭამელს და მოლაპარაკესაც ჯვარს აცვამღენ. ამიტომ პეტერბურგის ქართველთ შეუძლებლად მიაჩნდათ შეერთებულ საერთო კრების მოხდენა, თუნდ ისეთი პატარა მსჯელობისა, რომელშიაც ქართველ დეპუტატ-სოციალდემოკრატებთან ერთად ილიას და სხვებს მიეღოთ მონაწილეობა.

ილია იმედს არ კარგავდა. პროფ. ცაგარელი ყოველ შეხვედრაზე გაიძახოდა : „უთუოდ უნდა შევხდეთ სადმე, მოვილაპარაკოთ. ნუ თუ ასეთი პროტესტანტები არიან“...

მთხოვეს გამეგო დეპუტატების აზრი. ის. რამიშვილს, ნ. ჟორდანიას, გომართელს და სხვათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და შესაძლოდ ცნობდენ მოლაპარაკებას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაინც და მაინც დიდს სარგებლობას არც ერთი მხარე არ მოელოდა. მიუხედავად ამისა ხშირად გაისმოდა : „ვინ იცის იქნება შევთანხმდეთ.“ ასეთი ოპტიმისტიური იმედი ილიას ადვილად არ იტაცებდა.

ველოდით შესაფერ შემთხვევას, რომ სადმე შეკრებილიყვნენ. ამასაც მოვესწარით.

პეტერბურგში ჩამოვიდა ცნობილი მდიდარი ქართველი დავით სარაჯიშვილი, რომელიც სათათბიროს კრებაზე წავიყვანე. კულუარებში სეირნობის დროს სარაჯიშვილმა შემდეგი წინადადებით მომმართა:

— მე მსურს ჩვენს დეპუტატებს და მათთან ერთად ზოგიერთ აქაურ ქართველებს სადილი გავუმართო. მომინდვია შენთვის, აარჩიეთ დრო, დანიშნეთ საათი, ადგილი და მე მზადა ვარ. მეორეს მე ძლიერ გამიხარდა. სარაჯიშვილს ავუხსენ, რომ ასეთი შეკრება სწორედ გვინდოდა მეთქი. გადავწყვიტეთ ორ კურდღლის ერთად დაჭერა.

ერთი წუთით მართალი გითხრათ — შევჩერდი, „ის. რამიშვილი და სხვანი რომ სადილად არ წამოვიდნენ, გავიფიქრე. მაგრამ დიდად შევცდი. ყველანი დათანხმდენ. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

— რატომ არ წამოვალ ? გაიკვირვა ის. რამიშვილმა.

„ევროპის სასტუმრო“-ს ცალკე დიდ ოთახში შევიკრიბენით. სუფრის თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ილიამ, და მთლად სმენად გადაქცეული, ათვალიერებდა იქ მყოფთ. ისიდორე რამიშვილს მიუჯდა პროფ. ცაგარელი. სადილის გათავებამდის ლაპარაკს ნაწყვეტების ხასიათი ჰქონდა.

სანამ კრების მიზანზე ვიტყოდე რასმე, მსურს მოვიგონო ერთი მხიარული სცენა.

სადილის ბოლოს დავით სარაჯიშვილმა შამპანიურ ღვინით გაგვიმასპინძლდა. ავარდა პრობკა და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანურით.

ისიდორე რამიშვილმა არა ჩვეულებრივად შეათამაშა სახე, ულვაშებში ჩაიცინა და მოსვა შამანიურით ღვინო... დაცალა ჭიქა, და სიცილითა სთქვა:

— ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანიური. პირველადა ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა ასეთ ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ისიდორეს გულწრფელმა ირონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია. შამპანიური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულახდილად შენიშნა.

სოციალდემოკრატს შამპანიური გაუტკბილდა!

— ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია, მაგრამ, უარს ვერ ვიტყვი, — ჩაილაპარაკა ისიდორემ და დაუმატა; მართლა ჩინებული რამ არის!

ხუმრობასაც ბოლო მოელო. სადილს მორჩენ და შეუდგენ პოლიტიკას. ილიას ყველანი დიდი პატივისცემით ეპყრობოდენ.

ნ. ჟორდანია და სარაჯიშვილი გერმანულად და ფრანგულად ლაპარაკობდენ. ისიდორე რამიშვილი პროფ. ცაგარელს მთელს ლექციას უკითხავდა. საგანი – კრების მიზანი, ანუ ავტონომიის შესახებ აზრის საბოლოოდ გამოთქმა. პროფ. ცაგარლის ენერგიულმა განმტკიცებულ რწმენაზე აშენებულმა სიტყვებმა ვერ შეარყიეს ისიდორე. იგი წყნარად და ტკბილად ამბობდა:

— ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი....

ამას მოყვა ის, რაც უკვე ვიცით ჩვენ ესდეკების პროგრამიდან. ჩემზე — უნდა გამოვტყდე — ისიდორე რამიშვილის კილო და მეტად ზრდილობიანი მოფიქრებული სიტყვა კარგად მოქმედებდა. ეს არაფრად არ გავდა იმას, ო რასაც პარტიულ პრესაში ამოიკითხავთ ხოლმე.

ასეთის ყურადღებით ისმენდა რამიშვილის სიტყვას, თითქოს მოლაპარაკის ყოველივე სიტყვას რთულს ანალიზს უკეთებდა. მგოსანს ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლებოდა. ხანდისხან დარბაისლურად შეინძრეოდა, მაგრამ მსწრაფლ შესწყვეტდა მოძრაობას. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავს იჭერდა და საშუალებას აძლევდა რამიშვილს დაემთავრებინა თავისი სიტყვა.

დაასრულა ის. რამიშვილმა ვრცელი ლექცია. ილია ცოტახნს ივჯდა და ყურს უგდებდა პროფ. ცაგარლის პასუხს, მერმე მრავალ მნიშვნელოვნად გადაჰხედა ყველას, ნელა წამოდგა და ღრმა ჩუმ ფიქრში გართულმა იწყო ოთახში სეირ ნობა.

ილიას გადმოხედვა, მიმოხვრა, უცაბედი შენიშვნა, შეჩერება ნათლად გვეუბნებოდა: „მე მაგათ ვერას შევაცვლევინებ. რაც ის. რამიშვილმა სთქვა, ის მაგათი მტკიცე გადწყვეტილებაა. ჩვენ სხვა რამ უნდა ვიფიქროთო“.

ამიტომაც ვრცელი მსჯელობა ილიამ ალ. ცაგარელს დაუთმო.

ამ დროს ცოტა ხნით (ნახევარ საათით) მობაასეთ თავი დავანებე. რა მოხდა ამ დროს განმავლობაში დაწვრილებით არ ვიცი. როგორც მერმე გამოირკვა ილიას ვერ მოეთმინა და ლაპარაკში ჩარეოდა.

ღამის მეორე საათზე ერთმანეთს დავშორდით. შთაბეჭდილება საერთო კარგი იყო. ასეთი მშვიდი და წყნარი იყო სოციალ-დემოკრატთა კრება ილიასთან ერთად.

მეორე დღეს ილიას სათათბიროში შევხდი, იმ წამსვე ვკითხე:

— გუშინ ხომ არ დაღლილხართ ?

— არა. გუშინდელი საღამო საინტერესოდ მიმაჩნდა, თორემ იმდენხანს რა გამაჩერებდაო. რაც უნდა იყოს ჩვენმა შეკრებამ ერთი რამ აგვიხსნა: ეხლა ვიცი მაინც როგორ მოიქცევიან ჩვენი დეპუტატები, როცა ავტონომიაზე იქნება მსჯელობა.“

რამდენადაც ვიცი ავტონომიაზე მსჯელობა პირველ სათათბიროსი აღარ გაგრძელებულა, ხომ გახსოვთ, პირველი სათათბირო მალე დახურეს, აი, რაც შეეხება, მეორეს, მის შესახებ ისევ ბატონ მალაქიას მოვისმინოთ. გპირდებით ეს იქნება ბოლო „მოსმენა“, რომელიც ილიასა და პარტიებთან ურთიერთობასთან ექნება საქმე. ა

„მეორე სათათბიროში სულ სხვა ახალი პირობები იყო, ხელოვნურმა განსაზღვრამ, აღნიშნულ კითხვების გაქარწყლებამ, ახალმა სუსხიანმა ჩრდილოეთის პოლიტიკურმა ქარმა ილიას და ქართველ დეპუტატთა შორის დასახლოვებული ნიადაგი მოსპო.“

სხვათაშორის, არც ილიასა და ბატონ მალაქიას მეორე შეხვედრაზე ვაპირებ საუბარს, ის შეხვედრაც 1906 წლის 25 ივლისამდე მოხდა და „პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ფუქსავატურ ცხოვრებასა და იქაურ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების“ უმოქმედობას ეხება.

გიო კილაძე

გზები და ხიდები აჭარაში

ბათუმი-ბარცხანის გაერთიანებული გზა

მიმავალი გზატკეცილის სოფლებამდე მიყვანას **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 240, ფურც. 1]**

1924 წლის 16 მაისს სახელმწიფო აღმშენებლობის მთავარმა სამმართველომ გზათა სამუშაოების შესრულებაზე დანიშნა საჯარო ვაჭრობა **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 66]**

ამავე დროს სოფელ ზენდიდში მცოვრები 30 კომლი (თავმჯდომარე აბდულ ბერიძე) ითხოვდა კანონიერი გზის გაყვანას **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 193, ფურც. 75]**

1924 წელს გაყვანილი იქნა დოლოგანის გზა. 1926 წლის 3 დეკემბერს გახსნეს სხალთის გზა და მას უწოდეს სერგო ორჯონიკიძის სახელი. საგზაო კომისიაში შედიოდნენ რიზა ხოზრევანიძე, ხალვაში, შუქრი ბოლქვაძე და საგზაო ინჟინერი ტეპენკიჩევი, ტექნიკოსი ციგანტი აირჩიეს სხალთის თემის საპატიო მოქალაქედ. ვასილ ფილაღის ძე ჯაიანი, ისმაი სულემანის ძე მიქელაძე, იუნუს შერიფის ძე ბერიძე, ვეზირ თუფუსის ძე მჟავანაძე, ნური სულეიმანის ძე მახარაძე, მირიან არიფის ძე შაინიძე, დევრიშ ხიმშიაშვილი, მემედ ქამადაძე და სულეიმან ქამადაძე გამოაცხადეს სხალთის გზის შრომის გმირებად **[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 192, ფურც. 10]**

1924 წელს სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა ბათუმი-სარფის, გოროდოკი-ბარცხანის, ბარცხანიდან პოლკის ყაზარმამდე, ორთა-ბათუმი- კაპრეშუმის გზებზე. განახლდა ჭვანა-ცხემლისის, ზომლეთი-სხალთას, შუახევი-ჭვანას, შუახევი-უჩამბას და ა.შ. გზათა მშენებლობა. აჭარის სახკომსაბჭოს 1925 წლის 3 ივნისის დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ქალაქ ბათუმის ახალი საზღვრები, კერძოდ ჩრდილოეთით განისაზღვრა შავი ზღვის სანაპირო, აღმოსავლეთით სკურკუბიეს წყალი სამხედრო უწყებამდე და სამხრეთ-დასავლეთით მდინარე ბარცხანამდე, შემდეგ ბარცხანის წყლის მიმართულებით გორის ძირამდე, სამხრეთ-დასავლეთით მთის ძირის გზატკეცილამდე და პირდაპირ ზღვის ნაპირისკენ, ვიდრე ჟილინსკის არხზე გადებული ხიდებით ზღვის ჩასართავამდე [**ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 325, ფურც. 6]**

1924 წლის 16 თებერვლის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველომ განიხილა ბათუმის პორტის საზღვრები და დაადგინა: დასაწყისი- მდინარე ბარცხანის ვიწროები პირდაპირი გზით სამხრეთით ქარხნის ქუჩის სახლებამდე, ასევე საზღვაო პორტის ტერიტორია მოიცავდა ბათუმის საბაჟოს (დღევანდელი გოგებაშვილი ქუჩა) ოკლობჟიოს ქუჩა (დღევანდელი მერაბ კოსტავას) სვატოპოლსკ მირსკის ქუჩებს, ბურუნ -ტაბიეს უბანს.საზღვაო პორტის საზღვრები აღნიშნული იყო დანომრილი სვეტებით.

1925 წელს დაიწყო გონიოს ახალი გზის მშენებლობა **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 240, ფურც. 88]** 1926 წლის 23 ივლისს რიყეთის თემის ყრილობაზე გადაწყდა დიდაჭარის, ბეღლეთის და სოფელ რიყეთის ახალი გზის და ხიდის მშენებლობა. **[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 192, ფურც. 91]** 1926 წლის 28 ივლისს ქედის სამაზრო აღმასკომის სხდომაზე ტექნიკოსმა კრილოვმა წარმოადგინა ინფორმაციული მოხსენება მერისის გზის გაყვანის შესახებ. დამუშავდა 160 საჟენრბილი მიწა

1926 წლის 25 ივნისს აჭარის სახკომსაბჭოს პლენუმმა დამტკიცა მარადიდის გზატკეცილის მშენებლობის გეგმა. მარადიდის გზატკეცილის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თურქეთთან ვაჭრობის განვითარებისთვის. **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 460, ფურც. 83]**

1926 წელს ქედის ხიდის აგებასთან დაკავშირებით ტექნიკოსები პეტრე ნევჩენკოვი და ივანე გრაფსკი აირჩიეს ქედის მაზრის საპატიო მოქალაქეებად **[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 123, ფურც. 58]** 1926 წელს ქედის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სოფლების ძეწმანის, ვაიოს, ალიქოლლის (დღევანდელი სოფ. ოქტომბერი) გზების შეკეთების საკითხი. სასოფლო გზების მშენებლობის საწარმოებლად ირჩევდნენ საგზაო კომისიებს 3 კაცამდე, ამ სამი კაციდან ირჩევდენენ თემის კომისიას და შემდეგ სამაზრო კომისიაში თემიდან თითო კაცს. ხერთვისის გზის კომისიაში შეყვანილი იყვნენ ფერად ლორთქიფანიძე, ხუსეინ აბაშიძე, ხასან ვერძაძე, ერასტო გოშუა და ზაქარიაძე **[ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 22, ფურც. 25]**

1928 წლის 3 თებერვალს აჭარის ეკონომიკურმა საბჭომ განიხილა საკითხი მდინარეების, ჭოროხის, კინტრიშის და აჭყვის ნაპირგასამაგრი სამუშაოების წარმოების შესახებ. მდინარე ჭოროხი საფრთხეს უქმნიდა კახაბრის ვაკეს და თვით ბათუმსაც კი. 1927 წელს მდინარე კინტრიშმა და აჭყვამ წყალდიდობის შემდეგ საშიშროება შეუქმნა რკინიგზის ლიანდაგს და ქალაქ ქობულეთის ნაწილს. ადიდებული მდინარეები აზიანებდა სასოფლო გზების დამაკავშირებელ ხიდებს. **[ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 676, ფურც. 3]**

(გაგრძელება იქნება)

მერაბ მეგრელიშვილი

სკანვორდი



						უდაბნო აფრიკაში		საწვავის საზომი ერთეული		ლეგენ-დარული მსაჯი	
პლასტმასის ასაწყობი სათამაშო											
		ქალაქი იტალიაში		ჩრდილი		შტატი ამერიკაში	შარმი		ვაზის ჯიში		ლიქიორი
						პლანეტა					
მუსიკალური		ყავა რძით	იტალიური ავტომობილი		თოვლის						

	ქალაქი ესპანეთში		დროებითი სამშენებელო ნაგებობა								

ხსოვნა

დეზდემონა რუსაძე

კვლავ უსაზღვრო გულის ტკივილი . . .

ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი გამოაკლდა. გარდაიცვალა პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, უანგარო პედაგოგიური ნაღვაწით დამშვენებული, უდიდესი პასუხისმგებლობისა და მაღალი ინტელექტის მქონე ქალაქ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, უბადლო მანდილოსანი **დეზდემონა რუსაძე.**

იგი წლების მანძილზე უშურველად, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ასრულებდა საპატიო მოვალეობას. მოსწავლეებში აყალიბებდა ზნეობრივ სახეს, წარმატებით ასწავლიდა მათ გოეთეს ენას.

პედაგოგიურ კოლექტივში გამოირჩეოდა საუკეთესო პიროვნული თვისებებით.

იყო შესანიშნავი კოლეგა, კეთილი და მოსიყვარულე მეგობარი. მას დღესაც სულიერ მეგობრად მიიჩნევენ ნამოწაფარნი.

პირადი მაგალითიც საამაყო ჰქონდა, ბრძანდებოდა სანიმუშო ოჯახის თავქალი.

არაჩვეულებრივი შვილების და შვილიშვილების აღმზრდელი.

წავიდა ჩვენგან და მარადისობის ბინადარი გახდა უკეთილშობილესი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე, ჭეშმარიტი პედაგოგი, ქალბატონი დეზდემონა.

მისი ნათელი ხსოვნა მარად იქნება დამკვიდრებული კოლეგების, მრავალრიცხოვანი აღზრდილებისა და უახლოესი ადამიანების გულში.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ქალბატონ დეზდემონას ზეციურ საქართველოში.

როზა გოგუაძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

ზაურ გაბრიჩიძე

ბატონი ზაურ გაბრიჩიძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი წელიწადია უკვე აღარ არის ჩვენს შორის. ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, შრომა, თავისი საქმე, წიგნი, კაცი რომელმაც პატიოსნად განვლო მთელი სიცოცხლის გზა, 60 წელზე მეტ ხანს ერთგულად, უანგაროდ ემსახურებოდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის დარგს.

უსაზღვროა ბატონი ზაურის ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა თანამდებობაზე, დაწყებული ლაბორატორიის გამგიდან, დამთავრებული აგროტექნოლოგიების განყოფილების გამგედ. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტში, გამოქვეყნებული ქონდა 250-ზემეტი სამეცნიერო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობით დაცული იყო 10 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია.

მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვეს ს/მ სამინისტროს სიგელებით და მედლებით, ხოლო 2011 წელს ღირსების ორდენით. 2000 წლიდან არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

2015 წლიდან 2022 წლამდე მუშაობდა სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაის და სუბტროპიკულ კულტურების კვლევის სამსახურის უფროს სპეციალისტად.

მიუხედავად ავადმყოფობისა აქვეყნებდა სტატიებს ს/მ დარგების აქტუალურ საკითხებზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა ჟურნალი „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიასთან. 2021 წელს იოსებ ბასილიასთან და რუსუდან ტაკიძესთან ერთად, ფერმერთა დასახმარებლად გამოვიდა ფუნდამენტური ნაშრომი „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

2022 წლის სექტემბერში დიდი ტკივილით და სიყვარულით მივაბარეთ სამუდამო განსასვენებელს, მაგრამ დარჩა კარგი ოჯახი, ერთგული მეუღლე ჯილდა ლოლაძე, ოჯახის ყველა წევრი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

წავიდა ჩვენგან პატიოსანი, კეთილი, ვალმოხდილი კაცის სახელით.

საუკუნო დიდება მის ნათელ ხსოვნას.

ს/მ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“ -ს თანამშრომლები.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს როზა გოგუაძეს, მანანა და ზურაბ ერქომაიშვილებს დის და დედის **იზოლდა გოგუაძე-ერქომაიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ლელა იმედაშვილს, დედის **დეზდემონა რუსაძის** გარდაცვალების გამო.

მზია ბურჯალიანი, ინდიანა, ნანა, მარიამ, გიორგი ჭანიშვილები ოჯახებით იუწყებიან **დეზდემონა რუსაძე-იმედაშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები: გულსუნდა მახარაძე, იამზე კიღურაძე, ნონა ღლონტი უთანაგრძნობენ როზა გოგუაძეს დის, ღვაწლმოსილი ქალბატონის **იზოლდა გოგუაძე-ერქომაიშვილის** გარდაცვალების გამო.

გულსუნდა მახარაძე იუწყება უახლოესი მეგობრის **იზოლდა გოგუაძე-ერქომაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებული ოჯახს.

გულსუნდა მახარაძე თანაუგრძნობს სალომე .ვადაჭკორიასა და ზურაბ ბალანჩივაძეს დეიდის **ელზა გალოგრეს** გარდაცვალების გამო.

მადლობა გაწეული დახმარებისთვის

კეთილ საქმეში ხელშემწყობ კაცს, ოზურგეთის მერის წარმომადგენელს სოფელ შემოქმედში ბატონ **თამაზ ბურჭულაძეს,** სოფლის სახელით ვუხდი მადლობას გაწეული დახმარებისთვის. წმინდა კვირიკეს და ივლიტას მადლი ფარავდეს მას და სრულიად საქართველოს.

ჯემალ კეჭაყმაძე,

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მერაბ ვანიძის ხსოვნას



ორმოცი დღე გავიდა სიკეთის, სიყვარულის და ზნეობის მაგალითად აღიარებული პროფესიონალი ფეხბურთის, მწვრთნელის მერაბ ვანიძის გარდაცვალებიდან.

მერაბ ვანიძე 1952 წელს დაიბადა სოფელ შემოქმედში.

1964 წელს ფეხბურთის თამაში დაიწყო მწვრთნელ რეზი ცერცვაძესთან.

მას სამწვრთნელო კარიერა იზიდავდა. თბილისის მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ოზურგეთის ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „მერცხალში“.

მერაბ ვანიძე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბახვა გიორგაძესთან ერთად ლაითურის „გიგანტს“ წვრთნიდა. „გიგანტი“ იმ წლებში წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებზე. რამდენჯერემ გახდა საქართველოს პირველობის მეორე ქვეჯგუფის ჩემპიონი, საკავშირო „ოქროს თავთავის“ თასის მფლობელი...

1982 წელს ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდი „დვაბზუ,“ რომელმაც იმავე წელს დუდე მასხულიას სახელობის თასი მოიპოვა, მეორე ადგილი დაიკავა რესპუბლიკურ ზონალურ გათამაშებაში და 1983 წლიდან საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში ასპარეზობდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვოდა გუნდის მაშინდელ მთავარ მწვრთნელს მერაბ ვანიძეს.

მერაბ ვანიძის ხელმძღვანელობით წარმატებებს მიაღწია საქართველოს პირველობის მესამე ჯგუფში მოასპარეზე საფეხბურთო გუნდმა „მელექედურმაც.“ 1988 წელს ამ გუნდმა გათამაშებაში I-II ადგილი გაიყო სოხუმის „სუბტროპიკთან“ ერთად და მხოლოდ დამატებით მატჩში დათმო II ჯგუფის საგზური.

ოზურგეთის სპორტსკოლაში მერაბ ვანიძის აღზრდილები ვალერიან დუმბაძე, მერაბ მჟავანაძე, ვახტანგ ჩხაიძე, გელა ჩიგოგიძე და სხვები, რომლებიც გასული საუკუნის 80 -იანი წლების წარმატებული „მერცხალის“ წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ.

მერაბ ვანიძემ 1991 წლიდან მუშაობა გააგრძელა ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „მერცხალში,“ ხოლო შემდეგ იყო საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ მწვრთნელი.

2009 წელს მისი ხელმძღვანელობით ოზურგეთის „მერცხალი“ წაუგებლად გადავიდა საქართველოს პირველობის პირველ ლიგაში.

ამავე პერიოდში თანამოაზრეებთან (იური ჩხაიძე, სოსო გაგუა) შეიქმნა ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ბასა,“ სადაც არაერთი კარგი ფეხბურთელი აღიზარდა.

მერაბ ვანიძე იყო ფეხბურთელთა მრავალი თაობის აღმზრდელი, იგი გარდაცვალებამდე ღირსეულად ემსახურებოდა ქართულ ფეხბურთს. მუშაობდა საფეხბურთო კლუბ „მერცხალში.“ როგორც პროფესიონალს, პატივს სცემდა როგორც კლუბის, ისე სტადიონის ხელმძვანელები.

ნათელი მის სულს.

ვახტანგ კიკვაძე,

საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ადმინისტრაციის და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული: სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან, საერთო ტრაგედია გახდა პოლიტიკური სპეკულაციების საგანი

ალიონი. 8 სექტემბერს გურიის რეგიონში მოსული ძლიერი ნალექის გამო დაზიანებული სოფელ ხორეთის ხიდი აღდგება, გადაწყვეტილება მიღებულია და სოფელს, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, ახალი ხიდი ექნება. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ.** მისი თქმით, ახალი ხიდის აშენებამდე მოსახლეობისთვის ადგილზე დროებითი სამანქანო-საფეხმავლო გზა მოეწყობა.

– „გურიის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის რომ, მაქსიმალურად შემცირებულიყო მსხვერპლისა და ზიანის რაოდენობა. მთლიანად რეგიონში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ინფრასტრუქტურას, დანგრეულია ხიდები, გარემოს მოწყვეტილი იყო მოსახლეობა, თუმცა, ყველასთან მოხდა დაკავშირება. კონტაქტზე არიან როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, სამაშველო სამსახურები. მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური და მუშაობს საგანგებო რეჟიმში. ასევე, მუნიციპალიტეტებსა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, მაგრამ სამწუხაროდ რჩება ისეთი მონაკვეთები, სადაც წერტილოვნად გვაქვს შეზღუდვა გადაადგილებასთან დაკავშირებით. მათ შორის, ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთი არის სოფელი ხორეთი, სადაც სტიქიამ ფაქტობრივად სრულად გაანადგურა არსებული ხიდი, რომელზეც მიღებულია გადაწყვეტილება და ხიდი აუცილებლად აღდგება ახალი ხიდი აშენდება, თუმცა, ეს დაკავშირებულია შესაბამის პროცედურებთან. მანამდე კი, მიმდინარეობს სამუშაოები, რომ მოეწყოს ალტერნატიული, დროებითი სამანქანო-საფეხმავლო გზა. ხორეთის მოსახლეობასთან ვიმყოფებით აქტიურ კომუნიკაციაში. მათთან, საჭიროებისამებრ, შედის როგორც საკვები პროდუქტები, ასევე, მედიკამენტები"- აცხადებს გიორგი ურუშაძე.

გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გამოეხმაურა ბოლო პერიოდში ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც, რომელიც გურიაში მომხდარ სტიქიას ეხება, გიორგი ურუშაძის განცხადებით, პოლიტიკური პარტიების ნაწილი ცდილობს განზრახ შეიყვანოს მოსახლეობა შეცდომაში და ავრცელებენ ყალბ ინფორმაციებს. „სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან საერთო ტრაგედია გახდა პოლიტიკური სპეკულაციების საგანი და ისინი საკმაოდ უპასუხისმგებლო განცხადებებით ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი მოქალაქეები. ეს რა თქმა უნდა, არის ძალიან ცუდი და მიზნად ისახავს იმ ადამიანების დისკრედიტაციას, მათი შრომის არაფრად ჩაგდებას, ვინც 24-საათიან რეჟიმში ზრუნავს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე", – განაცხადა გიორგი ურუშაძემ.

„არწივები" ფოთში „ხარებთან" 3:24 დამარცხდნენ

8 სექტემბერს, ქ. ფოთში საქართველოს ახალი ჩემპიონატის პირველი ტურის პირველი მატჩში, გათამაშების დებიუტანტმა ოზურგეთის „არწივებმა" ქვეყნის ჩემპიონს, რუსთავის „ხარებს" უმასპინძლეს და ანგარიშით 3:23 დამცხდნენ. „არწივებიდან" საჯარიმო დარტყმა მარვინ ფრედერიქსმა გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ „დიდი 10" ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა" დატოვა. მის ნაცვლად, ახალ სეზონში ოზურგეთის „არწივები" გამოდის.

ART სივრცე აცხადებს მიღებას

ART სივრცე - შოუ სტუდია, რომელიც ფუბქციონირებს ოზურგეთის სახელწიფო თეატრში აცხადებს 5-დან 17-წლამდე ასაკის მუსიკალური, ქორეოგრაფიული და თეატრალური ნიჭით დაჯილდოებულ აღსაზრდელთა მიღებას **ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის (ბენდი) შოუ ჯგუფის ჩამოყალიბების მიზნით.**

სწავლება იქნება ნიჭისა და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით:

ვოკალში მომზადება, სიმღერის ინდივიდუალური და ჯგუფური შესწავლა (საესტრადო, ხალხური სიმღერები და საგალობლები);

მუსიკალურ-დასაკრავ ისტრუმენტებზე დაკვრის შესწავლა;

გიტარა (რიტმი, კლასიკური, ელექტრო, სოლო და ბასგიტარა);

დასარტყმელი ინსტრუმენტები (დრამი, ტომტომი და ა.შ.);

კლავიშებიანი ინსტრუმენტები (ელ. პიანინო, ორგანი, სინთეზატორი);

ხალხური ინსტრუმენტები (ფანდური, სალამური, დიპლიპიტო და ა.შ.);

ცეკვა (თანამედროვე და ხალხური ცეკვის ელემენტების შესწავლა, სასცენო მოძრაობა შოუ პროგრამისათვის);

სამსახიობო ოსტატობა (მეტყველების კულტურა, მხატვრული კითხვა);

სწავლების პროცესში მოსწავლეები ნიჭის, მონაცემებისა და მიდრეკილების მიხედვით შეირჩევიან და გადანაწილდებიან სხვადასხვა ჯგუფებსა და ანსამბლებში.

ART სივრცე-შოუ სტუდია ითვალისწინებს კონცერტებისა და შოუ პროგრამების მოზადებას და წარმოდგენას დიდ სცენაზე. ასევე პიარ კომპანიას სატელევიზო , ბეჭდურ მედიასა და სოციალურ ქსელებში სტუდიის წევრების ნიჭისა და შემოქმედებითი კუთხით პოპულარიზაციის მიზნით.

ART სივრცე-შოუ სტუდია ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, როგოც სამოყვარულო, ასევე პროფესიონალურ დონეზე.

მისამართი, **ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქუჩა №1.**

დაგვიკავშირდით 551 52 50 50.

სტუმრად ვახტანგ ღლონტთან



ალიონი. „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან"–ასეთი სახელწოდების სალონური საღამოები ყოველთვიურად იმართება ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში.

წელს სალონური საღამოს სტუმრები იყვნენ: მსოფლიოში აღია-რებული ქართველი ტენორი ირაკლი კახიძე,მწერალი გიზო თავაძე, რეჟისორები სოსო სტურუა, გიორგი გოგიბერიძე, მსახიობები ნანა სტამბოლიშვილი, თეო შამილაძე და სხვები.

გასულ კვირას სალონური საღამოს სტუმარი ცნობილი მხატვარ-დიზაინერი **ვახტანგ მამეიშვილი** გახლდათ.

ცნობილ პოეტ ვახტანგ ღლონტის სალონური საღამო იმით გამოირჩევა სხვა ღონისძიებებისაგან, რომ აქ გამოსვლელები წინასწარ არ არიან შერჩეულნი და იგი „ექსპრონტათ" მიმდინარეობს.

გასახსენებელი კი ბევრი ჰქონდათ. ვახტანგ მამეიშვილის სახელს უკავშირდება ოზურგეთში სამხატვრო სკოლის გახსნა, ოზურგეთის სამხატვრო გალერეის შექმნა, საქველმოქმედო საქმიანობა (მისი ინიციატივით შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო საზოგადოება). იგი ახლო ურთერთობებში იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან მერაბ კოსტავასთან, ზვიად გამსახურდიასთან.

ვახტანგ მამეიშვილის სახელი მიენიჭა ოზურგეთის ბავშვთა სამხატვრო სკოლას, ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი...

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ: ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი **ავთანდილ თავართქილაძე,** აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ფუტკარაძე,** გაზეთ „ალიონის" რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი,** მხატვარი **ნინო ბესელია, მამია მენაბდე,** ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი **ბელა კიკვაძე.**

სალონური საღამოს იდეის ავტორი მუსიკალური ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ქეთი მანველიშვილი** გახლავთ. ამჟამად იგი იტალიაში იმყოფება, სადაც მუსიკალური ცენტრის ორი მოსწავლე წარმატებით გამოდის ერთ-ერთ კონკურსზე. იგი იტალიიდან მიესალმა ოზურგეთელ მხატვარს.

მზე, ღრუბელი
+14+24
15 სექტემბერი
პარასკევი

ძლიერი წვიმა
+15+22
16 სექტემბერი
შაბათი

ძლიერი წვიმა
+13+20
17 სექტემბერი
კვირა

მზე, ღრუბელი
+11+19
18 სექტემბერი
ორშაბათი

მზე
+14+21
19 სექტემბერი
სამშაბათი

ღრუბელი
+13+21
20 სექტემბერი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი
+12+22
21 სექტემბერი
ხუთშაბათი